საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

იაკობგოგებაშვილისსახელობისთელავისსახელმწიფო უნივერსიტეტის
სტუდენტური თვითმმართველობის

ს ა ა რ ჩ ე ვ ნ ო

დებულება

დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოზე სხდომაზე

ოქმი # 9 30.09.2022

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: პროფესორი მანანა ღარიბაშვილი

თელავი

2022

სარჩევი

თავი I. ზოგადი დებულებები 3
მუხლი 1. დებულების რეგულირების სფერო 3
მუხლი 2. არჩევნების სამართლებლივი საფუძვლები 3
თავი II. არჩევნების ძირითადი პრინციპები 3
მუხლი 3. არჩევნების ძირითადი პრინციპები 3
მუხლი 4. არჩევნებში მონაწილეობის უფლება 3
თავი III. არჩევნების გამოცხადების წესი 3
მუხლი 5. არჩევნების გამოცხადება 3
თავი IV. თვითმმართველობის პრეზიდენტის არჩევის წესი. 4
მუხლი 6. საპრეზიდენტოარჩევნები 4
მუხლი 7. თვითმმართველობის პრეზიდენტობის კანდიდატთა რეგისტრაცია 4
მუხლი 8. პრეზიდენტის არჩევა 4
მუხლი 9. თვითმმართველობის პრეზიდენტის არჩევნების გადავადება. 5
თავი V. თვითმმართველობის საბჭოს არჩევის წესი 5
მუხლი 10. თვითმმართველობის ფაკულტეტის წარმომადგენელები 5
მუხლი 11. თვითმმართველობის საბჭოს კანდიდატთა რეგისტრაცია 5
მუხლი 12. თვითმმართველობის ფაკულტეტის წარმომადგენელთა არჩევა 6
თავი VI. თვითმმართველობის საარჩევნოკომისიები 6
მუხლი 13. თვითმმართველობის საარჩევნოკომისია 6
მუხლი 14. ინტერესთა შეუთავსებლობა 7
მუხლი 15. საარჩევნოკომისიის მუშაობის წესი 7
თავი VII. 7
მუხლი 16. საარჩვნობიულეტენი 7
მუხლი 17. საარჩევნოყუთის გახსნა 7
მუხლი 18. საარჩევნობიულეტენის გადცემა 7
მუხლი 19. კენჭისყრის ჩატარება 8
მუხლი 20. კენჭისყრის დეს კენჭისყრის ოთახში წესრიგის დაცვა 8
მუხლი 21. საარჩევნოყუთის გახსნა და ხმის დათვლა 8
მუხლი 22. დამკვირვებლები 9
მუხლი 23. წინასაარჩევნოაგიტაცია და კამპანია 9
მუხლი 24. არჩვნების შედეგების გასაჩივრება 10
მუხლი 25. არჩევნების შედეგების გამოცხადება 10
მუხლი 26. დასკვნითი დებულებები 10
მუხლი 27. დებულებაში ცვლილება 10

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. დებულების რეგულირების სფერო

წინამდებარე დებულება ადგენს „იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის", სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოების არჩევნების მომზადების, ჩატარების, საარჩევნო კომისიის უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესს.

მუხლი 2. არჩევნების სამართლებლივი საფუძვლები

უნივერსიტეტში თვითმმართველობის მართვის ორგანოების არჩევნები ტარდება „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებით, თვითმმართველობის დებულებითა და ამ დებულებით დადგენილი წესით.

თავი II. არჩევნების ძირითადი პრინციპები

მუხლი 3. არჩევნების ძირითადი პრინციპები

1. სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოების არჩევა ხდება საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით;
2. თვითმმართველობის მართვის ორგანოს საარჩევნო პროცესი და საარჩვნო კომისიის საქმიანობა ღია და საჯაროა.

მუხლი 4. არჩევნებში მონაწილეობის უფლება

თვითმმართველობის მართვის ორგანოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ სტუდენტს, რომელსაც გააჩნია აქტიური სტუდენტის სტატუსი;

თავი III. არჩევნების გამოცხადების წესი

მუხლი 5. არჩევნების გამოცხადება

1. თვითმმართველობის საბჭოს არჩევნებს ნიშნავს პრეზიდენტი;
2. პრეზიდენტის არჩევნებს ნიშნავს თვითმმართველობის საბჭო;
3. თვითმმართველობის მართვის ორგანოს დანიშვნის თაობაზე განცხადება უნდა იყოს ყველასთვის ხელმისაწვდომი და საჯარო. ინფორმაცია უნდა განთავსდეს უნივერსიტეტში არსებულ საინფორმაციო დაფასა და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
4. ამ დებულებით დადგენილი ყველა ვადა, მათ შორის, არჩევნების დაწყებიდან მის დასრულებამდე გულისხმობს კალენდარულ დღეებს, საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეების ჩათვლით.

თავი IV. თვითმმართველობის პრეზიდენტის არჩევის წესი.

მუხლი 6. საპრეზიდენტო არჩევნები

1. პრეზიდენტი აირჩევა 2 წლის ვადით, თვითმმართველობის საბჭოს წევრების მიერ პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით;
2. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოება არჩევნების გამოცხადებიდან 10 დღის ვადაში;
3. კანდიდატთა საბუთების მიღების დასრულებიდან არაუგვიანეს 1 კვირისა ტარდება არჩევნები.

მუხლი 7. თვითმმართველობის პრეზიდენტობის კანდიდატთა რეგისტრაცია

1. საპრეზიდენტო კანდიდატთა რეგისტრაციისთვის აუცილებელია კანდიდატმა საარჩვნო კომისიაში წარმოადგინოს:

   ა) პირადი განცხადება;

   ბ) სამოტივაციო წერილი;

   გ) არანაკლებ 50 სტუდენტის მიერ ხელმოწერით დადასტურებული მხარდაჭერის ფურცელი (მხარდამჭერთა ხელმოწერის ფორმას ამტკიცებს თვითმმართველობის საბჭო) ან თვითმმართველობის საბჭოს წევრთა სრული შემადგნელობის 1/5-ის წარდგინება;

   დ) საარჩევნო პროგრამა;

   ე) ნასამართლეობის ცნობა;

   ვ) სტუდენტის დამადასტურებელი მოწმობა.

მუხლი 8. პრეზიდენტის არჩევა

1. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტად შეიძლება არჩულ იქნეს უნივერსიტეტის ნებისმიერი კურსის სტუდენტი, რომელიც ქმედუნარიანია, არის თვითმმართველობის წევრი და არ იკავებს უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ თანამდებობას და არ არის ნასამართლევი;
2. პრეზიდენტს ფარული კენჭისყრის საფუძველზე ირჩევს სტუდენტური თვითმმართველობის საბჭო;
3. პრეზიდენტი არჩულად ითვლება თუ მას მხარს დაუჭერს საბჭოს წევრთა სიით შემადგენლობის ნახევარზე მეტი;
4. იმ შემთხვევაში თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა ხმათა საკმარისი რაოდენობა, 5 დღის ვადაში ინიშნება მეორე ტური იმ პირველი ორი კანდიდატისათვის, რომლემაც ყველაზე მეტი ხმათა რაოდენობა დააგროვა.

გამარჯვებულად ითვლება ის კანდიდატი ვინც მეორე ტურში დააგროვებს მეტ ხმას.

მუხლი 9. თვითმმართველობის პრეზიდენტის არჩევნების გადავადება.

სტუდენტური თვითმმართველობის საბჭოს უფლება აქვს პრეზიდენტის არჩევნები გადაავადოს არაუმეტეს 6 თვის ვადით.

თავი V. თვითმმართველობის საბჭოს არჩევის წესი

მუხლი 10. თვითმმართველიბის ფაკულტეტის წარმომადგნელები

1. სტუდენტური თვითმმართველობის საბჭოს არჩევნებს ნიშნავს პრეზიდენტი;
2. ფაკულტეტებზე არჩეული თვითმმართველობის წარმომადგენლები ქმნიან უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის საბჭოს;
3. სტუდენტური თვითმმართველობისსაბჭოსწევრები აირჩევიან, საყოველთაო, თანასწორი, ფარული და პირდაპირი არჩევნების წესით;
4. სტუდენტური თვითმმართველობის საბჭოს წევრის არჩევა ხდება ფაკულტეტების მიხედვით. სტუდენტური თვითმმართველობაშისაყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. შემავალ წევრთა რაოდენობა იდენტურია ფაკულტეტის საბჭოში შემავალ სტუდენტთა რაოდენობისა, რომელიც არ უნდა იყოს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის 1/4-ზე ნაკლები.

მუხლი 11. თვითმმართველობის საბჭოს კანდიდატთა რეგისტრაცია

1. თვითმმართველობის საბჭოს წევრობის კანდიდატის რეგისტრაციისათვის აუცილებელია კანდიდატმა საარჩევნო კომისიას წარუდგინოს:
   ა) პირადი განცხადება;
   ბ) სამოქმედო გეგმა;
   გ) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ;
2. თვითმმართველობის წარმომადგენელთა კანდიდატის რეგისტრაციას ახორციელებს საარჩევნო კომისია;
3. კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს არჩევნების გამოცხადებიდან 1 კვირის განმავლობაში. რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში მიეთითება ის ხარვეზი, რომელსაც კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები. კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი გამოასწოროს 2 დღის ვადაში;
4. არჩევნების დღე ინიშნება კანდიდატთა საბუთების მიღების დასრულებიდან არაუგვიანეს 1 კვირისა;

5. კანდიდატი უფლებამოსილია რეგისტრაციაზე უარი გაასაჩივროს 1 დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილებას თვითმმართველობის საარჩევნო კომისია იღებს 2 დღის ვადაში.

მუხლი 12. თვითმმართველობის ფაკულტეტის წარმომადგენელთა არჩევა

1. თვითმმართველობის საბჭოს წევრად შეიძლება არჩეულ იქნას შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტი, რომელიც უნივერსიტეტში არ იკავებს ადმინისტრაციულ თანამდებობას;
2. თვითმმართველობის საბჭოს ფარული კენჭისყრის საფუძველზე ირჩევენ იმავე ფაკულტეტის სტუდენტები;
3. კანდიდატი არჩეულად ითვლება თუ მას მხარს დაუჭერს არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა უმრავლესობა.

თავი VI. თვითმმართველობის საარჩევნო კომისიები

მუხლი 13. თვითმმართველობის საარჩევნო კომისია

1. არჩევნების ჩატარების მიზნით, იქმნება საარჩევნო კომისია, არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით;
2. წევრთა სიას ადგენს თვითმმართველობის საბჭო ან პრეზიდენტი;
3. საარჩევნო კომისიის უფლებამოსილების ვადა იწყება საარჩევნო კომისიის პირველი შეკრების დღიდან და წყდება ამ დებულებით გათვალისწინებული ყველა პროცედურის დასრულებისთანავე;
4. საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილება წყდება კომისიაში მისი შემცვლელი წევრის არჩევისთანავე;
5. კანდიდატებს არეგისტრირებს საარჩევნო კომისია;
6. საარჩევნო კომისიის წევრი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ მოქმედ კანონმდებლობას, „იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ სტუდენტური თვითმმართველობის დებულებას და ამ დებულებას. აკრძალულია საარჩევნო კომისიის წევრზე ზემოქმედება ან მის საქმიანობაში ჩარევა, გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით;
7. საარჩევნო კომისია ადგენს ამომრჩეველთა სიას;
8. საარჩევნო კომისიის წევრისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებია:

   ა) პირადი განცხადება;

   ბ) არასაპატიო მიზეზით კომისიის სხდომის ზედიზედ 2-ჯერ გაცდენა;

   გ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

მუხლი 14. ინტერესთა შეუთავსლებლობა

თვითმმართველობის საარჩევნო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს კანდიდატი, რომელიც კენჭს იყრის არჩევნებში.

მუხლი 15. საარჩევნო კომისიის მუშაობის წესი

1. საარჩევნო კომისიის მუშაობის წესი განისაზღვრება ამ დებულებით;
2. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს კომისიის მდივანი;
3. საარჩევნო კომისიის სხდომების პერიოდულობას განსაზღვრავს კომისია;
4. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა;
5. კომისიის გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა;

თავი VII.

მუხლი 16. საარჩვნო ბიულეტენი

1. საარჩევნო ბიულეტენი იბეჭდება საარჩევნო კომისიის განკარგულების საფიძველზე, მიმიერ დადგენილი ნიმუშის მიხედვით, ქართულ ენაზე, რომელიც დამოწმებულია უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ბეჭდით.

მუხლი 17. საარჩევნო უბნის გახსნა

1. საარჩევნო უბანი იხსნება კენჭის ყრის დღეს 09:00 საათზე. კენჭისყრა იწყება 10:00 საათზე და მთავრდება 14:00 საათზე. თუ არჩევნებში გამოცხადდება ყველა ამომრჩეველი, კომისია უფლებამოსილია კენჭისყრა დაასრულოს განსაზღვრულ ვადაზე ადრე.
2. უბნის გახსნის შემდეგ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე შეარჩევს:

ა) ამომრჩეველთა რეგისტრატორ კომისიის წევრებს, რომლებიც გასცემენ საარჩევნო ბიულეტენებს;

ბ) ყუთზე ზედამხედველს.

მუხლი 18. საარჩევნო ბიულეტენის გადაცემა

1. საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენს გასცემს ამომრჩეველთა სიის საფუძველზე, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში;
2. კენჭის ყრის დღეს ყოველ ამომრჩეველზე გაიცემა ერთი საარჩევნო ბიულეტენი;
3. ბიულეტენის გაცემას ადასტურებს რეგისტრატორი ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით;

4. ამომრჩეველი საარჩევნო ბიულეტენის მიღებას ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით.

მუხლი 19. კენჭისყრის ჩატარება

1. ბიულეტენის მიღების შემდეგ ამომრჩეველი შედის ფარული კენჭისყრის კაბინაში. ხმის მიცემის პროცედურის დასრულების შემდეგ ამომრჩეველი ათავსებს ბიულეტენს საარჩევნო ყუთში და ტოვებს კენჭისყრის ოთახს;
2. თუ ამომრჩეველს, საარჩევნო კომისიის წევრს გაუფუჭდა ბიულეტენი, მან ამის შესახებ უნდა აცნობოს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ჩააბაროს გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენი და მიიღოს ახალი. გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენს ამომრჩევლის თანდასწრებით დაეწერება „გაფუჭებულია", ხელს მოაწერს კომისიის თავმჯდომარე და იგი ცალკე შეინახება;
3. თუ კენჭისტრის დროს დაირღვა საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობა, სააჩევნო კომისია აჩერებს კენჭისყრის პროცესს იღებს გადაწყვეტილებას საარჩევნო ყუთის ხელახლა დალუქვისა და კენჭისყრის გაგრძელების საკითხის თაობაზე.

მუხლი 20. კენჭისყრის დღეს კენჭისყრის ოთახში წესრიგის დაცვა

1. კენჭისყრის დღეს კენჭისყრის ოთახში წესრიგის დაცვას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე;
2. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ კენჭისყრის ოთახში წესრიგის თაცვის მიზნით მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება სავალდებულოა საარჩევნო კომისიის წევრებისათვის, კენჭისყრის ოთხში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირისა და ამომრჩევლისათვის;
3. თუ კენჭისყრის ოთახში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე საფრთხე ექმნება ამ დებულების მოთხოვნათა შესაბამისად კენჭისყრის ჩატარებას ან საარჩევნო დოკუმენტაციის უსაფრთხოებას, სააჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნით შეილება გამოძახებულ იქნეს და კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომლები. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის აღკვეთისთანავე დაცვის წევრები ტოვებენ კენჭისყრის ოთახს.

მუხლი 21. საარჩევნო ყუთის გახსნა და ხმის დათვლა

1. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრებისა და კენჭისყრის ოთახში ყოფნის უფლების მქონე პირთა დასწრებით ამოწმებს საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობას;
2. თუ ლუქის მთლიანობა დარღვეულია, მაგრამ საარჩევნო კომისია მიიჩნევს, რომ მას არ გამოუწვევია ამ დებულების მოთხოვნის დარღვევა, საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით გძელდება კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურა და იწყება ხმების დათვლა;

3. საარჩევნო ბიულეტენი მიიჩნევა ბათილად თუ შეუძლებელია იმის დადგენა თუ რომელ საარჩევნო სუბიექტს მისცა ხმა ამომრჩეველმა;

მუხლი 22. დამკვირვებლები

1. არჩევნებზე დაკვირვების უფლება აქვთ ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებიც რეგისტრაციას გაივლიან საარჩევნო კომისიასთან;
2. რეგისტრაციაში გატარების მიზნით დამკვირვებელმა განცხადებით უნდა მიმართოს საარჩევნო კომისიას არჩევნების დღემდე არაუგვიანეს ორი დღისა;
3. საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება დამკვირვებლის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს;
4. დამკვირვებელს უფლება აქვს:
   ა) დააკვირდეს საარჩევნო კომისიის მუშაობას;
   ბ) შეუზღუდავად და დაუბრკოლებლად დააკვირდეს კენჭისყრისს პროცესის ყველა ეტაპს;
   გ) მიიღოს მონაწილეობა საარჩვნო ყუთის შემოწმებაში მათ დალუქვამდე და გახსნამდე;
   დ) განცხადებით (საჩივრით) მიმართოს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ხმის მიცემისა და კენჭისყრის პროცედურებთან დაკავშირებულ საკითხებზე და კონკრეტული დარღვევის დაფიქსიტების შემთხვევაშ მოითხოვოს მათზე რეაგირება.
5. დამკვირვებელს არ აქვს უფლება:
   ა) ჩაეირიოს საარჩევნიო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში;
   ბ) გავლენა მოახდინოს ამომრჩეველთა ნების თავისუფალ გამოვლენაზე;
   გ) აგიტაცია გაუწიოს ამომრჩევლის რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ;
   დ) ატაროს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სიმბოლიკა და ნიშანი;
   ე) დაესწროს ხმის დათვლის პროცედურას;
   ვ) დაარღვიოს ამ დებულების სხვა მოთხოვნები.

მუხლი 23. წინასაარჩევნო აგიტაცია და კამპანია

1. სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოში ასარჩევ კანდიდატს უფლება აქვს ჩაატაროს წინასაარჩევნო კამპანია. წინასაარჩვნო კამპანიის წარმართვისას ყველა კანდიდატი სარგებლობს თანასწორი უფლებით;
2. კენჭისყრის დღეს აგიტაცია აკრძალულია;
3. წინასაარჩვნო კამპანია და აგიტაცია შესაძლებელია განხორციელდეს კანონით ნებადართული სხვადასხვა ღონისძიების ჩატარებით.
4. წინასაარჩევნო კამპანიამ და აგიტაციამ არ უნდა შეუშალოს უნივერსიტეტში სასწავლო პროცესს;
5. უნივერსიტეტის ადმინისტრაციას ეკრძალება სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების პროცესში ჩარევა და ხელის შეშლა;

6. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ვალდებულია ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში არჩევნების სრულფასოვნად და სამართლიანად ჩატარებას.

მუხლი 24. არჩვნების შედეგების გასაჩივრება

1. არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან 24 საათის განმავლობაში კანდიდატს, დამკვირვებელს, საარჩევნო კომისიის წევრს და ამომრჩეველს, ამ დებულებით გათვალისწინებული წესის დარღვევასთან დაკავშირებით უფლება აქვთ საჩივარი შეიტანონ საარჩევნო კომისიაში;
2. არჩვნების შედეგები შეიძლება ერთი თვის ვადაში გასაჩივრდეს სასამართლოში.

მუხლი 25. არჩევნების შედეგების გამოცხადება

1. არჩევნების შედეგები ცხადდება არჩევნების დღეს. კომისია ვალდებულია საინფორმაციო დაფაზე გამოაკრას არჩევნების შედეგების აქტი. არჩევნების შედეგები შედის ძალაში გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 26. დასკვნითი დებულებები

ძალადაკარგულად გამოცხადდეს სტუდენტურ თვითმმართველობის საარჩევნო დებულებასთან დაკავშირებით მოქმედი ყველა დებულება.

მუხლი 27. დებულებაში ცვლილება

დებულებას შეიმუშავებს და მასში ცვლილებები შეაქვს სტუდენტური თვითმმართველობის საბჭოს, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება წარმომადგენლობით საბჭოს თვითმმართველობის პრეზიდენტის მიერ.